# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/106 "17" ივნისი 2021 წ.

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**ა. გზირიშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $35^4$ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 36-ე მუხლის მე-4 და $4^1$ პუნქტებისა და 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2021 წლის 2 მარტს გამოცხადებული მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის შედეგების საფუძველზე:

1. ალექსანდრე გზირიშვილი არ იქნეს გამწესებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობებზე 3 წლის ვადით.

2. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით (მის.: ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №12) გადაწყვეტილების მოსამართლეობის კანდიდატისათვის გადაცემიდან 2 კვირის ვადაში.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე